ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 386

30 ოქტომბერი
"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 56359 კვმ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.17.01.065.062) 320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მეთეგისთვის" (ს/კ№405082967) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის №40.10.1154 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 56359 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.17.01.065.062) 320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მეთეგისთვის" (ს/კ №405082967), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 32 100 (ოცდათორმეტი ათას ასი) ლარით.

3. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვროს 5 წელი.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი